



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2021 წლის
ადგილობრივი
თვითმმართველობის
არჩევნების
გრძელვადიანი
სადამკვირვებლო მისიის
I შუალედური ანგარიში

მაისი - ივლისი



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების ბრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის
I შუალედური ანგარიში**

მაისი - ივლისი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.



თბილისი
2021

კვლევის ხელმძღვანელები: **ნიკოლოზ სიმონიშვილი**
ვახუშტი მენაბდე

წამყვანი მკვლევარი: **მარიამ ლაცაბიძე**
მკვლევარები: **თათია მიქელაძე**
ნიკოლოზ ოდიკაძე
კოკა კიდურაძე

რედაქტორი: **ხათუნა ყვირაღაშვილი**

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო, 0102
+995 322 936101
www.gyla.ge

სარჩევი:

შესავალი.....	5
1. მთავრობის ინიციატივა სასენსო ვალდებულებების სუბსიდირების შესახებ.....	8
2. სოციალურ ქსელებში საჯარო რესურსის პარტიული მიზნით გამოყენება.....	9
3. ოღებ ხუბულურის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე.....	11

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2021 წლის მაისიდან დაიწყო პროექტის - „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია“ - იმპლემენტაცია.

გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის ხელშეწყობა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება.

წინამდებარე ანგარიში ფარავს 2021 წლის 1-ლი მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით გამოვლენილ დარღვევებს ან ისეთ ქმედებებს, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ზიანს აყენებს ჯანსაღი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით, ახლებური წესებით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციის პირობებში ჩატარდება. პარლამენტმა 28 ივნისს, 86 ხმით 3-ის წინააღმდეგ,¹ საარჩევნო კოდექსის ცვლილებები² დაამტკიცა.³ ამას წინ უძღოდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი და პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მიერ ინიცირებული მედიაციის შედეგად მიღწეული 19 აპრილის შეთანხმებით, დეესკალაციის გარკვეულ ნიშნულს მიუახლოვდა. ეს შეთანხმება არჩევნებზე ზეგავლენას ორი მიმართულებით ახდენდა. ესენია საარჩევნო რეფორმის გეგმა და ვადამდელი არჩევნების პირობები.⁴ ეს უკანასკნელი განისაზღვრა შემდეგნაირად: საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის

¹ საპარლამენტო ოპოზიციიდან ფრაქციებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ და „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საარჩევნო ცვლილებებს მხარი არ დაუჭირეს.

² საიას 2021 წლის საარჩევნო რეფორმის შეფასება იხ. ლაცაბიძე მ. „რას (არ) უნდა ველოდოთ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან?“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 22 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iVD8I3>, განახლებულია: 18.08.2021.

³ „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები 86 ხმით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 28 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ian3Xb>, განახლებულია: 13.08.2021.

⁴ „ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი აქვეყნებს ახალ წინადადებას, რომელიც მან დღეს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fAh8Jl>, განახლებულია: 18.08.2021.

ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებს ნამდვილი პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს.⁵ 19 აპრილის შეთანხმებამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს რეფერენდუმის დატვირთვა მიანიჭა. ამომრჩეველი არჩევნებზე ხმის მიცემით, ფაქტობრივად, პარლამენტის დაშლის და ახალი არჩევნების ჩატარების საკითხს წყვეტდა. თუმცა, ეს მოცემულობა რადიკალურად შეიცვალა 28 ივლისს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმება ანულირებულად გამოაცხადა.⁶

რეფორმირებული კანონმდებლობის შესაბამისად, 2021 წლის ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ცესკოს ახალი თავმჯდომარე და 2 პროფესიული წევრი ახალი წესებითა და პროცედურით შეირჩნენ. ვაკანსიების გამოცხადების შემდგომ, პრეზიდენტის 2021 წლის 1-ლი ივლისის განკარგულებით, შეიქმნა სპეციალური საკონკურსო კომისია.⁷ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით კომისია 11 წევრისგან შედგებოდა, რომელთაგან 5 წარმოდგენილი იყო საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ხოლო 6 - აკადემიური სფეროდან.⁸ კომისიამ ცესკოს თავმჯდომარის პოზიციაზე უმრავლესობით მხარი დაუჭირა 2 კანდიდატს, ხოლო ცესკოს წევრის პოზიციაზე კომისიამ 5 კანდიდატი დაასახელა.⁹ საიამ მონაწილეობა მიიღო საკონკურსო კომისიის საქმიანობაში. ორგანიზაციამ თავმჯდომარეობის კანდიდატებიდან ხმა არცერთ მათგანს არ მისცა, ხოლო პროფესიული წევრებიდან 3-ს გამოუცხადა მხარდაჭერა.¹⁰ კომისიის წევრმა კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ¹¹ ასევე არცერთ კანდიდატს არ დაუჭირა მხარი თავმჯდომარის პოზიციაზე.¹²

19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმებით განისაზღვრა, მოგვიანებით კი კანონმდებლობაში აისახა, არჩევნების დანიშვნის დღიდან 10 დღის ვადაში, ცესკოს არანაკლებ 9 და არაუმეტეს 15 წევრისგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის ვალდებულება,¹³ რომელიც აერთიანებს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.¹⁴ ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება ცესკოს

⁵ იქვე.

⁶ „ქართული ოცნება 19 აპრილის შეთანხმებას გაუქმებულად აცხადებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gedlx7>, განახლებულია: 18.08.2021.

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 1-ლი ივლისის №01/07/01 განკარგულება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BOi6HU>, განახლებულია: 18.08.2021.

⁸ იქვე.

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 1-ლი ივლისის №01/07/01 განკარგულებით შექმნილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W3OqLo>, განახლებულია: 18.08.2021.

¹⁰ „ნიკა სიმონიშვილი - ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე შერჩეული კანდიდატები იმ არჩევნებთან ასოცირდებიან, რომელმაც დიდი უნდობლობა გამოიწვია - კომისიამ მიიღო ცუდი და დაბალი სტანდარტის გადაწყვეტილება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 9 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rhEBod>, განახლებულია: 18.08.2021.

¹¹ ეს ორგანიზაციებია: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი“.

¹² საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 1-ლი ივლისის №01/07/01 განკარგულებით შექმნილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი, გვ. 5.

¹³ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16¹ მუხლის 1-ლი ნაწილი.

¹⁴ იქვე, მე-2 ნაწილი.

განკარგულებით.¹⁵ ის უფლებამოსილია, ცესკოს წარუდგინოს რეკომენდაციები საარჩევნო დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებით, მათ შორის, განხილვის პროცედურის, სათანადო მასალების მოძიების ან/და მტკიცებულების გამოკვლევის თაობაზე.¹⁶ საია არ ჩაერთო საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობაში.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კამპანიის მოახლოებასთან ერთად გაიზარდა პოლიტიკური დაძაბულობა, თუმცა საანგარიშო პერიოდში პარტიების აქტიურობა კამპანიის თვალსაზრისით ნაკლებად შეინიშნებოდა.

ამ დროის განმავლობაში საიამ რამდენიმე შემთხვევა აღრიცხა. მათი ერთი ნაწილი შეეხება მმართველი პარტიის მიერ საჯარო რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას, ხოლო მეორე - ოპოზიციური აზრის გამო საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას.

¹⁵ იქვე, 1-ლი ნაწილი.

¹⁶ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №44/2021 დადგენილება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

მთავრობის ინიციატივა სასესიო ვალდებულებების სუბსიდირების შესახებ

25 ივნისს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტს გასული წლის მთავრობის საქმიანობის ანგარიშთან ერთად წარუდგინა „ეკონომიკის 10-წლიანი განვითარების გეგმის“ პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც, მრავალშვილიან ოჯახებს, ასევე ოჯახებს, რომელთაც შეეძინებათ შვილი, საშუალება ექნებათ, ისარგებლონ იპოთეკური სესხის სუბსიდირებით და ამით შეიქმნან/გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.¹⁷ ოჯახები პირველი და მეორე შვილის გაჩენის შემთხვევაში ისარგებლებენ იპოთეკური სესხის 5-8%-მდე სახელმწიფო თანადაფინანსებით.¹⁸ მთავრობამ შესაბამისი დადგენილება მიიღო 2 აგვისტოს, ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად მითითებულია 2021 წლის 1-ლი სექტემბერი.¹⁹ ის, რომ ამ ინიციატივის დამტკიცების დრო წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების წინა დღეა,²⁰ შემთხვევითი არ არის. ამით ხელისუფლებამ თავი აარიდა რეგულაციას, რომელიც უკვე მომდევნო დღიდან ამ ინიციატივის იმპლემენტაციის შესაძლებლობას არ მისცემდა და მას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად მიიჩნევდა.²¹ ეს ამომრჩეველთა გულის მოგებაზე გათვლილი მანიპულაციაა. საია მიიჩნევს, რომ მოქალაქეების მძიმე სოციალური პირობების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის მიუღებელია და ეწინააღმდეგება თანასწორი და კონკურენტული წინასაარჩევნო კამპანიის პრინციპებს.

¹⁷ „პრემიერ-მინისტრის ანგარიში პარლამენტში“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W4DOMf>, განახლებულია: 18.08.2021.

¹⁸ „ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, ოჯახი ახალშეძენილ შვილზე იპოთეკური სესხის თანადაფინანსებით ისარგებლებს“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 6 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gdfPBe>, განახლებულია: 18.08.2021.


¹⁹ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს №388 დადგენილება „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

²⁰ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. ეს ნიშნავს, რომ 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კამპანიის დაწყების ოფიციალური თარიღია 2021 წლის 3 აგვისტო.


²¹ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

სოციალური ქსელებში საჯარო რესურსის პარტიული მიზნით გამოყენება

რამდენიმე სახელისუფლებო ოფიციალურ Facebook-გვერდზე საიამ აღრიცხა მმართველი პარტიის მხარდამჭერი პოსტები. მაგალითად, 20 ივლისს სოციალურ მედიაში გამოჩნდა პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენის ცერემონიალის ვიდეოჩანაწერი, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გადაიცემოდა პირდაპირი ჩართვის რეჟიმში და დაფინანსებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ.²²



30 ივლისს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი: „წარმატებები „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ონის მერობის კანდიდატს, ბატონ სერგი ხიდუშელს“.²³



²² „თბილისის მერობის კანდიდატის წარდგენა“, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 20 ივლისი, დასაშვანსორებული საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური Facebook-გვერდი, Facebook Ad Library.

²³ „წარმატებები „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ონის მერობის კანდიდატს, ბატონ სერგი ხიდუშელს!!!“, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 30 ივლისი.

მართალია, ეს ქმედებები საარჩევნო კოდექსს არ ეწინააღმდეგება, რადგან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა ჯერ არ მოქმედებდა,²⁴ თუმცა საია პარტიის მხარდასაჭერად საჯარო რესურსის გამოყენებას ცუდ პრაქტიკად მიიჩნევს. ამგვარი ქმედება უმრავლესობას გაუმართლებელ უპირატესობას ანიჭებს, ხოლო სხვა პარტიებს არსებითად უთანასწორო პირობებს უქმნის. იმავდროულად, იგი ეწინააღმდეგება პარტიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მოთხოვნას. საიას რეკომენდაციით, საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის სამთავრობო რესურსების გამოყენება ნებისმიერ პერიოდში უნდა იკრძალებოდეს.

²⁴ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, აგიტაციის დროს აკრძალულია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, აგრეთვე, იკრძალება მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება, იხ. საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

ოლეგ ხუბულურის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე

2021 წლის 15 ივნისს გორის მერიის ადმინისტრაციის და შესყიდვების ხელმძღვანელის მოადგილე ოლეგ ხუბულური დისციპლინური წარმოების შედეგად სამსახურიდან გაათავისუფლეს.²⁵ ოლეგ ხუბულურის განცხადებით, ამის მიზეზი მის მიერ ოპოზიციური აზრის გამოთქმა გახდა. მისი თქმით, 13 მაისს უშუალო ხელმძღვანელმა მოსთხოვა განცხადების დაწერა სამსახურიდან წასვლის შესახებ, ვინაიდან იგი მიიჩნეოდა გორი-კასპის მაჟორიტარი დეპუტატის და პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტსაბჭოს წევრ გიორგი ხოჯევანიშვილის და გათავისუფლებული მერის მოადგილეების გუნდის წევრად. იმავდროულად, ხუბულურის თქმით, ხელმძღვანელმა მას განუმარტა, რომ იგი ასრულებდა მერის დავალებას.

2012 წლის 13 და 14 მაისს, გორის მუნიციპალიტეტის მერის დავალებით, შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურმა აღრიცხა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა სამსახურში დასწრება.²⁶ აღრიცხვების პერიოდში ოლეგ ხუბულური არ იმყოფებოდა სამუშაო ადგილას. ის სამსახურში არ ყოფილა ასევე 17 მაისს.²⁷ გორის მერის ბრძანებით, ამ ფაქტზე დაიწყო დისციპლინური წარმოება.²⁸ ოლეგ ხუბულურმა დაადასტურა მითითებულ დღეებში სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტი. მისი თქმით, 17 მაისს ხელმძღვანელს ამის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა და მიზეზები განუმარტა.²⁹ თუმცა, წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ოლეგ ხუბულურს სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ ხელმძღვანელისთვის დაუყოვნებლივ არ მიუმართავს.³⁰ დადგინდა, რომ 13, 14 და 17 მაისს სამსახურში მისი არყოფნა უშუალო უფროსთან შეთანხმებული არ იყო.³¹

წარმოების ფარგლებში ოლეგ ხუბულურის მიერ „TV პირველის“ ეთერში გაკეთებული განცხადება - „ხდება დისკრიმინაცია იმ ადამიანების და იმ საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ სავარაუდოდ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება“³² - განიხილეს.³³ ოლეგ ხუბულურმა განმარტა, რომ მან აზრი გამოთქვა გარკვეულ პროცესებზე და ამ კომენტარში არ მოიაზრებოდა რომელიმე კონკრეტული დაწესე-

²⁵ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ოლეგ ხუბულურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 ივნისის №ბ20.202116612 ბრძანება.

²⁶ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 მაისის ბრძანება №ბ20.202114128 დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² „ნოდარ მელაძის შაბათი 15 მაისი, 2021 II ნაწილი“, „TV პირველი“, 2021 წლის 15 მაისი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DaanZW>, განახლებულია: 23.08.2021.

³³ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ოლეგ ხუბულურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 ივნისის №ბ20.202116612 ბრძანება.

ბულება.³⁴ მისი თქმით, წარმოების ფარგლებში არ სურდა დეტალების დაკონკრეტება.³⁵ მისი ეს სიტყვები შეფასდა, როგორც საჯარო ინტერესის და მუნიციპალიტეტის მერის რეპუტაციის შელახვა.³⁶ წარმოებით დადგინდა, რომ ოლეგ ხუბულურმა დაარღვია „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილება, სადაც წერია: „საჯარო მოხელე თავს იკავებს საჯარო კომენტარის გაკეთებისგან სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას წარმოშობილი პირადი ინტერესის მქონე საკითხებზე, რომელმაც, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საჯარო დაწესებულების რეპუტაციას.“³⁷ ხუბულურის დისციპლინური გადაცდომები ერთობლიობაში შეფასდა, როგორც მძიმე დისციპლინური დარღვევა. საჯარო დაწესებულების რეპუტაციისა და საჯარო ინტერესის შელახვის საფუძვლით,³⁸ გორის მერის 15 ივნისის ბრძანებით, ოლეგ ხუბულურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა „სამსახურიდან გათავისუფლება“.³⁹

საიას შეფასებით, ადმინისტრაციული ორგანოს ეს გადაწყვეტილება კანონშეუსაბამოა. როგორც ზემოთ აღნიშნა, ოლეგ ხუბულურის კომენტარიდან არ ჩანს, რომ იგი რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებაზე საუბრობს. მისი ნათქვამი არის ზოგადი და შეეხება სისტემურ პრობლემას, რაც არ შეიძლება მიჩნეული იყოს, ერთი მხრივ, პირადი ინტერესის საკითხად, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული საჯარო დაწესებულების (როგორც ამას ზოგადი წესების შესაბამისი ნორმის დისპოზიცია მოითხოვს) რეპუტაციის შელახვად. ამის გათვალისწინებით, ხუბულურის ქმედება არ ექცევა დისკრედიტაციის აკრძალვის მუხლის დეფინიციის ფარგლებში. ამდენად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ოლეგ ხუბულურის გათავისუფლება ოპოზიციურ აზრს და მის გამონატვას უკავშირდება.

რაც შეეხება სამსახურში გამოუცხადებლობის ეპიზოდს, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთი სავალდებულო საფუძველი მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენაა.⁴⁰ კანონი განსაზღვრავს პირობებს, რა დროსაც დისციპლინური გადაცდომა მიიჩნევა მძიმე დარღვევად.⁴¹ ოლეგ ხუბულურის მიერ სამუშაო საათების დროს სამსახურის უნებართვო დატოვება ან/და სამსახურში გამოუცხადებლობა, კანონით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, არ შეიძლება მძიმე გადაცდომად დაკვალიფიცირდეს. განსაკუთრებით მაშინ, თუ პირს მანამდე არ ჰქონია ჩადენილი ამგვარი ქმედება, ის ვერ გახდება მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე.

³⁷ მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁸ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 85-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

³⁹ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ოლეგ ხუბულურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 ივნისის №ბბ20.202116612 ბრძანება.

⁴⁰ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

⁴¹ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი.